1999 წლის 23–28 ივლისს პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი — გასაშლელი რეფლექტორული ანტენა — ღია კოსმოსურ სივრცეში წარმატებით გამოიცადა. იგი ჯერ ორბიტულ სადგურზე გაიშალა, შემდეგ კი დამოუკიდებლად განაგრძო მოძრაობა დედამიწის გარშემო. ამ ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ შესაძლებელია დიდი ზომის ანტენის კოსმოსში დაკეცილი სახით გატანა, შემდეგ მისი გაშლა და წარმატებით გამოყენება. მსგავსი ანტენები აუცილებელია ინფორმაციის მიღება-გადაცემისთვის კოსმოსურ აპარატებს შორის, დედამიწის შესწავლისა და კოსმოსური კვლევებისთვის.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორია ქართველი მეცნიერი და ინჟინერი, აკადემიკოსი ელგუჯა მეძმარიაშვილი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში კოსმოსური საინჟინრო დარგის განვითარებაში და ჩამოაყალიბა კოსმოსური ტექნიკის სამეცნიერო სკოლა.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის წარმატებული გამოცდა მნიშვნელოვანი მოვლენაა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ამ წარმატებამ მსოფლიოს დაანახა, რომ ქართველ მეცნიერებსა და ინჟინრებს შეუძლიათ თანამედროვე კოსმოსური ტექნიკის შექმნა და საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა.

23 ივლისი საქართველოში აღინიშნება, როგორც პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღე.

ფოტო ყდაზე: გასაშლელი რეფლექტორული ანტენა, გადაღებული ორბიტულ სადგურზე ასტრონავტების ინტერნაციონალური ეკიპაჟის წევრის, ფრანგი ასტრონავტის, ჟან-პიერ ენიერეს მიერ.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

ფიზიკა 7

მასწავლებლის წიგნი
პირველი ნაწილი